



ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომა

27 მაისი, 2022 წელი<sup>1</sup>

### კომისიის სხდომის ოქმი

**შეხვედრის თავმჯდომარე:** ნიკო თათულაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებთან დაცვის საკითხებში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე.

**კომისიის სხდომის მდივანი:** მარიამ ხარებაშვილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი.

#### **გადაწყვეტილებები/შემდგომი ნაბიჯები:**

- i. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების კამპანიების აქტიური წარმართვა;
- ii. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმაზე აქტიური მუშაობის გაგრძელება და უახლოეს პერიოდში დამტკიცება;
- iii. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული პოლიტიკის გააქტიურება;
- iv. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით კოორდინირებული მუშაობის გაძლიერება აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- v. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების შესახებ დოკუმენტის დასრულებისთვის კოორდინირებული მუშაობის გაგრძელება;

#### **დანართები:**

დანართი N1. დღის წესრიგი

დანართი N2. დამსწრეთა სია

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, **ნიკო თათულაშვილმა**. მან სხდომის მონაწილეებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ მოგვეცა საშუალება, სწრაფი ნაბიჯები გადავდგათ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით.

მან მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილე კომისიის წევრებს, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და განმარტა, რომ მათი

<sup>1</sup> სხდომა ჩატარდა ნაწილობრივ დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საბჭოს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორის კომისიის მუშაობაში. თავმჯდომარემ წარადგინა სხდომის დღის წესრიგი და განმარტა კომისიის სხდომის ჩატარების დაჩქარების მიზეზი, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა ფემიციდის, მკვლელობის, სხეულის დაზიანების და თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევები და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე რეაგირება უნდა იყოს სათანადო. ამასთანავე, განხილულ უნდა იქნას ის აქტივობები, რომლებიც თითოეული უწყების ფარგლებში არსებობს და ხომ არ დგას უფრო მეტი კოორდინაციის და თანამშრომლობის საჭიროება არსებული პრობლემების პრევენციისათვის.

**ნიკო თათულაშვილმა** აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტთან ერთად და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტის დახმარებით, უახლოეს პერიოდში აღნიშნული გეგმა ბიუჯეტით, შეთანხმებული უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იქნება დამტკიცებული.

სიტყვა გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს **ალექსანდრე დარახველიძეს**, რომელმაც ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობაზე. მისი თქმით, არსებობს გამოწვევები, ამ გამოწვევებს აქვს თავისი რეალური მიზეზები და სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაიმართოს დისკუსია და განხორციელდეს გარკვეული მოქმედებები, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. სამინისტრო უმკაცრეს პოლიტიკას აწარმოებს ამ მიმართულებით, რაზეც მეტყველებს ის გამოქვეყნებული სტატისტიკა, რომელზეც წვდომა აქვს ნებისმიერ ადამიანს, საუბარია გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობაზე. როგორც **ალექსანდრე დარახველიძემ** აღნიშნა, ბოლო წლებში დაახლოებით 10000-მდე ორდერი იქნა გამოცემული, გარდა ამისა დაწყებული გამოძიების მაჩვენებელი 5000-6000-მდეა და უფრო მეტიც ხშირ შემთხვევაში. პასუხისმგებში მიცემული ადამიანების რაოდენობა, წლის განმავლობაში 2000-მდე აღწევს. როგორც აღინიშნა, სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს და აკეთებს ყველაფერს, რომ ნებისმიერი ქმედება, სადაც იკვეთება ქალთა მიმართ ძალადობა ან ოჯახში ძალადობა არ დარჩეს რეაგირების გარეშე და მოყვეს შესაბამისი უმკაცრესი სამართლებრივი ზომები. **ალექსანდრე დარახველიძემ** ასევე ისაუბრა, რომ აქტიურად მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს, როგორც გამოძიების, ასევე შემაკავებელ ორდერთან მიმართებით, რათა რაიმე გარემოება არ დარჩეს ყურადღების მიღმა. ასევე, დანერგილია რისკის შეფასების მექანიზმი და კითხვარი, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მხრიდან, რომლითაც ხდება ორდერის გამოცემის წინ კითხვარის შევსება. დაგროვილი პრაქტიკა საშუალებას იძლევა, რომ გადაიხედოს ქულათა სისტემა, შეფასების სისტემა, მათ შორის საუბარია სამაჯურის შეფასების სისტემის განსაზღვრაზე. სამინისტრო აქტიურად მუშაობს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, მიმდინარეობს სწავლებები და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ასევე როგორც აღინიშნა, სამინისტრო მუშაობს გამომძიებლებისთვის ახალი სასწავლო მოდულის შემუშავებაზე, რათა შეიქმნას ერთიანი საბაზისო მოდული, ისეთ საკითხებზე, როგორც არის სექსუალური დანაშაულის და ოჯახში ძალადობის გამოძიება.

**ალექსანდრე დარახველიძემ** ასევე ისაუბრა, შემაკავებელი ორდერის დამატებით ღონისძიებაზე - ელექტრონულ ზედამხედველობაზე. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, ამ საკითხზე ცნობიერება დაბალია და მსხვერპლები თავს იკავებენ ამ მექანიზმის გამოყენებისაგან და ამ მიმართულებით ძალისხმევაა გასაწევი

საინფორმაციო კამპანიებით, რათა განხორციელდეს ქალების დარწმუნება, გამოიყენონ ეს მექანიზმი, იმისათვის, რომ მათი უფლებები მეტად იქნას დაცული.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საჭიროა თემატური შეხვედრების გამართვა სასამართლოსთანაც, რადგან გასაჩივრებული ორდერების 50-60% უქმდება სასამართლოს მხრიდან და ამის ძირითადი არგუმენტი არის მოპოვებული მტკიცებულებების შეუსაბამობა დადგენილ სტანდარტებთან. მისი თქმით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მტკიცებულებების შეგროვება ფიზიკურად შეუძლებელია, იმ პირობებში, როდესაც დაზარალებული იმ წუთიერ რეაგირებას მოითხოვს და მოქმედებაც დაუყოვნებლივია. მომხსენებლის აზრით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა, რადგან არ შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდეს მკაცრი მიდგომა და ეს საბოლოო შედეგს არ ასახავდეს სასამართლოში.

პროკურატურის წარმომადგენელმა, **ქალბატონმა სალომემ შენგელიამ** ისაუბრა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების პრიორიტეტულობაზე და პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. მან აღნიშნა, რომ დაიწყო პროკურორთა სპეციალიზაცია, რომელიც დაინერგა ოთხი მიმართულებით: არასრულწლოვანთა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, სქესობრივ დანაშაულებზე და უშუალოდ ქალთა მიმართ გენდერულ და ოჯახურ დანაშაულებზე, რამაც უფრო ეფექტიანი გახადა საპროცესო ხელმძღვანელობა.

მომხსენებლის ინფორმაციით, პროკურატურამ დაამტკიცა 2022-2027 წლების სტრატეგია, სადაც ცალკე თავი დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულს. სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გაიწერა განსახორციელებელი ღონისძიებები. პროკურატურა ამ მიმართულებით, მკაცრ პოლიტიკას ატარებს. ყველა შესაძლო ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ახდენს რეაგირებას, მყისიერად ხდება გამოძიების დაწყება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა, პირის დაკავება და შემდეგ უკვე პროკურატურის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი 2018 წელს იყო 91%, 2019 წელს 92%, 2020 წელს 94%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს 91%-ს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ასევე, პროკურორთათვის მიმდინარეობს მუშაობა, ორ სახელმძღვანელო მითითებაზე, ერთი მათგანი ეხება გენდერის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის რეკომენდაციას, ხოლო მეორე სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებას.

უმთავრეს გამოწვევად რჩება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რადგან როგორც **ქალბატონმა სალომემ შენგელიამ** აღნიშნა, რეაგირება ხდებოდა უკვე ჩადენილ ფაქტზე და ამიტომ მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, **ქალბატონი თამილა ბარკალაიას** ინფორმაციით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ, სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით ეტაპობრივად იზრდება თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების რაოდენობა, ამ ეტაპზე ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში 5 თავშესაფარი და 5 კრიზისული ცენტრი მოქმედებს საქართველოს მასშტაბით და მიმდინარეობს მუშაობა თბილისში თავშესაფრის დამატებაზე.

როგორც აღინიშნა, რაოდენობრივად მიმართვიანობა იზრდება, განსაკუთრებით კორონა ვირუსის და მის შემდგომ პერიოდში. მისი თქმით, 2021 წლის განმავლობაში 428 ბენეფიციარმა ისარგებლა

როგორც თავშესაფრით, ასევე არსებული სხვა დამატებითი მომსახურებებით, მათ შორის ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და იურიდიული კონსულტაციით. კრიზისული ცენტრის ფარგლებში 612-მა ბენეფიციარმა მიიღო დახმარება. ამ რაოდენობიდან, 123 იურიდიული სერვისით სარგებლობას ეხებოდა. 2022 წლის პირველ კვარტალში, 109 პირმა ისარგებლა თავშესაფრით, ხოლო ამჟამად, 239 პირი, კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობს.

როგორც **თამილა ბარკალაიამ** აღნიშნა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტთან, იმისათვის, რომ სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისთვის სტატუსის საჭიროება აღარ არსებობდეს. მისი თქმით, სხვა უწყებების მსგავსად, კორონა ვირუსი იყო ხელისშემშლელი გარემოება, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისთვის. ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

**ნიკო თათულაშვილმა** ყურადღება გაამახვილა, რომ აქტივობები, რომლებიც იგეგმება და დაიგეგმება მომავალშიც, განსაკუთრებით მთავრობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, უნდა მუშაობდეს, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. სწორედ ამ მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან, რათა ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდეს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **მზია გიორგობიანმა** ისაუბრა, სამინისტროს მიერ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დღეისათვის არ არის არცერთი მუნიციპალიტეტი, სადაც ერთი პროგრამა მაინც არ ხორციელდება. დღეის მდგომარეობით მიმართვიანობა გაზრდილია დიდ დასახლებებში, ქალაქებში და დაბებში, სადაც უფრო დიდია ცნობიერება. მისი თქმით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და კოორდინაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში. გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების საკითხი, მათ შორის ბიუჯეტთან დაკავშირებით. მომხსენებელმა ისაუბრა გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტს არ შეუძლია განმცხადებელს გაუწიოს სერვისი, თუკი ის მის ტერიტორიაზე მცხოვრები რეგისტრირებული პირი არაა.

**მზია გიორგობიანმა** ყურადღება გაამახვილა, რომ ქალების ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია ამ საკითხის მოგვარება, რადგან ეს არის სერიოზული გამოწვევა და ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც თავშესაფრიდან გამოსული ქალი ისევ ბრუნდება ოჯახში, არის ის, რომ მას არ აქვს დასაქმებისთვის შესაბამისი განათლება. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფარში სთავაზობენ სხვადასხვა პროფესიული განათლების მიღებას, ამ მიმართულებით უფრო მეტი სამუშაო გასაწევი. მან ასევე ისაუბრა მედია სივრცეში არსებულ გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების დეტალური გაშუქება არ არის მიზანშეწონილი, განსაკუთრებით, როდესაც არასრულწლოვნები ფიგურირებენ საქმეში.

დისკუსია განაგრძო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ბატონმა **რაჟდენ კუპრაშვილმა** და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატს ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალების დახმარების მიმართულებით, რის საფუძველზეც ყველა დაზარალებულ ქალს ექნება შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება. მისი თქმით, მთავარი გამოწვევა იყო რეგიონებში იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობა, ამ მიმართულებით სამსახურმა ბოლო წლების განმავლობაში 20-ზე მეტი საკონსულტაციო ცენტრი გახსნა და დღეს უკვე 30 საკონსულტაციო ცენტრისა და 13 ბიუროს სახით არის საქართველოს

ტერიტორიაზე წარმოდგენილი. ამასთანავე, მიმდინარე წელს, იგეგმება დამატებით 20 საკონსულტაციო ცენტრის გახსნა.

და ყველა რეგიონში წარმოდგენილი იქნებიან კონსულტანტები. იურიდიული დახმარების სამსახურისთვის პრობლემას წარმოადგენდა დაზარალებულ ქალთა მომართვიანობა, ამ მიმართულებით შეიქმნა სპეციალური მობილური აპლიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა პირმა მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია იდენტიფიცირების გარეშე. მისი თქმით, მიმდინარეობს სპეციალური ვებ-გვერდის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება კითხვა-პასუხის რეჟიმში სამართლებრივი კონსულტაციისა და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ამასთანავე, **რაჟდენ კუპრაშვილმა** ყურადღება გაამახვილა ადვოკატების მუდმივი გადამზადების საჭიროებაზე, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით. იურიდიული დახმარების სამსახურში ასევე არიან ფსიქოლოგები და იგეგმება, ფსიქოლოგთა რეესტრის შექმნა, რათა შესაძლებელი იყოს ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევა რეგიონებშიც. მისი თქმით, იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს პარალელურად გადამზადებას, რომლებიც შეძლებენ პირველადი კონსულტაციის გაწევას შესაბამის დაბაში და სოფელში და წელს ეს პროექტი მოიცავს მთელ საქართველოს.

მომხსენებლის თქმით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება უმნიშვნელოვანესია, მისი თქმით, მუდმივად ეცნობიან კვლევებს მუნიციპალიტეტში ქალთა დასაქმების შესაძლებლობებს, ამასთანავე დასაქმების კუთხით ადგილი ხომ არ აქვს დისკრიმინაციას. აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, შშმ თემთან ერთად, მათ შორის რეგიონებში.

საინფორმაციო კამპანიასთან მიმართებით, იურიდიული დახმარების სამსახურმა ევროპის საბჭოს დახმარებით, დაიწყო ვიდეორგოლების მომზადება. მათ შორის ცალკე ვიდეორგოლები მზადდება ქალებისთვის, რომელიც უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდის სერვისების თაობაზე. ამასთანავე, პროექტი „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომად“ მნიშვნელოვანია და უმჯობესი იქნება, სამინისტროებთან თანამშრომლობით ამ პროექტით ყველა რეგიონისთვის მოხდეს ინფორმაციის მიწოდება, იმ სერვისებთან და შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფო ახორციელებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურისგან განსხვავებით მკაცრ პოლიტიკასთან დაკავშირებით სხვაგვარი პოზიცია აქვთ ადვოკატებს, რადგან ამ მიმართულებით ყოველ საქმესთან დაკავშირებით ინდივიდუალურად უნდა მოხდეს საკითხის შეფასება, თუნდაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან თუ სასჯელთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის მოადგილემ, ქალბატონმა **ეკატერინე სხილაძემ** ისაუბრა ქალთა მკვლელობის მიმართულებით არსებულ რთულ ვითარებაზე, რომ სტატისტიკა არ იცვლება და შემცირების მაჩვენებელი არ იკვეთება, მიუხედავად იმისა რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირება იზრდება, რაც მიუთითებს, რომ ფემიციდს სჭირდება სხვაგვარი ჩართულობა და მხოლოდ სამართალდამცავი უწყების როლი არ იქნება საკმარისი. ასევე, საგრძნობლად შემცირდა ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როდესაც პოლიცია ინფორმირებული იყო ფემიციდის ფაქტთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, მოწმის და დაზარალებულების კოორდინატორების მცირე რაოდენობაზე. მისი თქმით, პროკურატურაში დასაქმებულია 18 კოორდინატორი, ხოლო შინაგან

საქმეთა სამინისტროში 14 კოორდინატორი. ამ რაოდენობის პირობებში შეუძლებელია მათ ეფექტიანი როლი ჰქონდეთ იმ პირობებში, როდესაც ერთი კოორდინატორი წლის განმავლობაში 1700 საქმეს აწარმოებს. ამასთანავე, მისი თქმით, მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქცია უნდა იქნას ამალღებული, მათ უნდა შეძლონ დაზარალებულის დარწმუნება ელექტრონული ზედამხედველობის ეფექტიანობაზე.

**ეკატერინე სხილაძემ** ასევე ისაუბრა, ადგილობრივი თვითმმართველობების როლის განსაზღვრაზე და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებაზე, რადგან ზოგიერთ მუნიციპალიტეტს აქვს დაზარალებულის ქირით უზრუნველყოფა, ზოგიერთს ერთჯერადი დახმარება. არის მუნიციპალიტეტები, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ეს პროგრამები. ასევე მან აღნიშნა საგანმანათლებლო დაწესებულებების თაობაზე, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში საგრძნობლად შემცირდა სკოლების მიერ ოჯახური ძალადობის გამოვლენის შემთხვევები.

მომხსენებლის მიერ, საუბარი იყო ფემიციდის დეფინიციის რეგულირების საკითხზე, კერძოდ, არსებული მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის მხრივ იძლევა ადეკვატური სანქციონების შესაძლებლობას, თუმცა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონში ფემიციდის დეფინიციის განსაზღვრა იქნება პოლიტიკური განაცხადი და სახელმწიფო პოლიტიკის დეკლარირება.

დისკუსიის ფარგლებში კომპენსაციის წესთან დაკავშირებით ისაუბრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **თამილა ბარკალაიამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა, ასევე ამ პროცესში ჩართულია მათ შორის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ბატონი ნიკო თათულაშვილი. როგორც აღინიშნა, საერთო ხედვის ჩამოყალიბების შემდგომ, საჯარო გახდება განხილვები, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს აღნიშნული წესი.

მისივე თქმით, დიდი ყურადღება ექცევა ქალთა დასაქმებას, ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალადობის მსხვერპლი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები არიან პრიორიტეტულები დასაქმების და ყოველდღიური რეფერირების მექანიზმი მუშაობს დასაქმების სააგენტოსა და ზრუნვის სააგენტოს შორის. თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რაც ხელს უშლით ძალადობის მსხვერპლ ქალებს ეს არის საბავშვო ბაღების და ბავშვთა დაწესებულებების არარსებობა, როდესაც მსხვერპლ ქალებს არ აქვთ შესაძლებლობა რომ დატოვონ ბავშვები ასეთ დაწესებულებაში, რაც ხელისშემშლელია მათი დასაქმებისთვის.

დისკუსიის ფარგლებში **ალექსანდრე დარახველიძემ** ისაუბრა მოწმის და დაზარალებულების კოორდინატორების მცირე რაოდენობაზე. მისი თქმით, გამოცხადებულია რამდენიმე ვაკანსია და იქნება 17 კოორდინატორი, რომელიც დაფარავს ყველა რეგიონს, თბილისის ყველა სამმართველოს, არასრულწლოვნებს და ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციას. ასევე, პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებულ ათწლიან გეგმაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულია, რომ კოორდინატორების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 50-მდე.

არასამთავრობო ორგანიზაციის - „ქალები საერთო მომავლისთვის“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა **იდა ბახტურიძემ** ისაუბრა, რომ გამოწვევაა, პრევენციის პოლიტიკა. მისი თქმით, სრული ტვირთი სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ გადანაწილებული, რაც არ არის სწორი, რადგან მკვლელობა არის უკვე შედეგი და სახელმწიფო ერთვება უკვე დამდგარ შედეგზე და ეს უნდა შეიცვალოს. მისივე

თქმით, სახელმწიფო სერვისებთან დაკავშირებით არაეფექტურია სტატუსის მიმნიჭებელი კომისია, რადგან ქალებს როდესაც სჭირდებათ შემაკავებელი ორდერი, ეს დროსთან არის დაკავშირებული.

**იდა ბახტურიძემ** მნიშვნელოვან საკითხად დაასახელა მუნიციპალიტეტების მიერ დახმარების გაცემის საკითხი, რადგან ბინის ქირის გადახდა აბსოლუტურად ბიუროკრატიული პროცესია. ასევე, პრობლემურია, რომ არ არსებობს სისტემური მიდგომა რა ტიპის არის ეს დახმარება და არც აქვთ კონკრეტული ინსტრუქცია მუნიციპალიტეტებს რა დოკუმენტაცია უნდა მოითხოვონ დაზარალებული ქალისგან, დახმარების გაცემის საფუძვლად.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და სკოლამდელი განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **მარიამ ჩიქობავამ** ისაუბრა სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე, კერძოდ სამინისტრომ გააფორმა მემორანდუმი გაეროს ქალთა ფონდთან, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული მეინსტრიმინგის პლატფორმის ჩამოყალიბებას და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებას. ამავე ფარგლებში მოაზრება მასწავლებლების გადამზადება. მიმდინარე წლის ივნისის თვეში თბილისის, ქვემო ქართლის, გურიის სკოლებიდან 2000-მდე მასწავლებელი გადამზადდება, რაც გააუმჯობესებს ოჯახში ძალადობის ფაქტების შეტყობინებას. მისივე თქმით, გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად, იუნესკოს სტანდარტებზე დაყრდნობით გაკეთდა ერთგვარი პროგრამა დაწყებით საფეხურზე ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. სამინისტრო ასევე გეგმავს დაიწყოს ექიმებისა და ექთნების გადამზადება ყველა სკოლაში ამ მიმართულებით. აღნიშნული სახელმძღვანელო გზამკვლევი დაიხვეწება და უკვე სექტემბრიდან დაიწყება ამ მიმართულების დანერგვა.

ქალთა ფონდ „სოხუმის“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა **ლინდა ჩიხლაძემ** ისაუბრა ბავშვთა მოვლის სერვისების არარსებობაზე, ასევე მოწყვლადი ჯგუფის ქალებისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზების შესაძლებლობებსა და მოძალადის ქცევის კორექციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მოძალადის რესოციალიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით, ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა **მამუკა გაჩეჩილაძემ** აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ხორციელდება მხოლოდ პენიტენციურ სისტემაში მოხვედრილ მოძალადეებზე და მნიშვნელოვანია, რომ ცნობიერების ამაღლების კუთხით, პრევენციული ღონისძიებების თვალსაზრისით ეს პროგრამები გახდეს სავალდებულო ყველა მოძალადისთვის.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **თინათინ ავალიანმა** ისაუბრა თანამშრომლობის აუცილებლობაზე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით. მისი თქმით, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით იუსტიციის სკოლასთან ერთად, სატრენინგო მოდული გადამუშავდა და გაუმჯობესდა. როგორც რისკის შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებით აღინიშნა, მისი გადახედვაც მალე დასრულდება, დასკვნა უკვე მომზადებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ და რეკომენდაციებზე შეჯერების შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ პროცესში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერა ექნება. ასევე, ელექტრონული ზედამხედველობის მიმართულებით გრძელდება მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად და მომხსენებლის ინფორმაციით დაგეგმილია ერთიანი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია.

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **ლელა აქიაშვილმა** მხარდაჭერა გამოუცხადა ადამიანის უფლებათა საბჭოს და გამოთქვა შემდგომი თანამშრომლობის სურვილი, მისი თქმით, მნიშვნელოვანია ბავშვთა სივრცეების მოწყობა, რაც მისი თქმით, ზრუნვის ეკონომიკის ნაწილად უნდა იქნას განხილული.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **ლია გიგაურმა**, ისაუბრა ეთნიკური უმცირესობების მიერ ძალადობის განსხვავებულად აღქმასთან დაკავშირებით, რომ ძალადობის ფაქტები ძირითად შემთხვევებში ეთნოკულტურული ტრადიციებით არის დაფარული. მისი თქმით, ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიწოდება უმნიშვნელოვანესია, რაშიც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების საჭიროება არსებობს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა **გოგიტა თოდრაძემ**, ისაუბრა საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით. მისი თქმით დაგეგმილია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება 2024 წლის განმავლობაში. აღწერის კითხვარის ფორმატი იქნება გაზიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოსათვის, რათა ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილშიც აღნიშნული კითხვარი მოწესრიგებული იყოს.

სხდომის დასასრულს, **ნიკო თათულაშვილმა** მიმართა დამსწრეებს და ისაუბრა დანაშაულის პრევენციის, ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და უწყებების ჩართულობის მნიშვნელობაზე. მისი თქმით, ასევე უახლოეს პერიოდში დამტკიცდება მთავრობის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც არაერთი ღონისძიება განხორციელდება. სხდომის თავმჯდომარემ, მაძლობა გადაუხადა დამსწრეებს თანამონაწილეობისთვის და გამოთქმული მოსაზრებებისთვის. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა კიდევ უფრო აქტიური და ეფექტიანი იქნება.



## დანართი N 1. დღის წესრიგი



გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და  
ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე  
უწყებათაშორისი კომისიის სხდომა

27 მაისი, 2022, 14:00 საათი

დღის წესრიგი

---

14:00 – 14:15	<b>გახსნითი ნაწილი</b>
	ნიკო თათულაშვილი - პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კომისიის თავმჯდომარე
14:15 – 14:40	<b>ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები</b>
	ალექსანდრე დარაბველიძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
	სალომე შენგელია - საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი
14:40 -14:50	<b>არსებული სახელმწიფო სერვისები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და გამოწვევები</b>
	თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

---

14:50 – 15:00	<p>ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა და გამოწვევები ადგილობრივ დონეზე</p> <p>მზია გიორგობიანი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე</p>
15:00 - 15:10	<p>იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და სამომავლო გეგმები</p> <p>რაჟდენ კუპრაშვილი - იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი</p>
15:10 – 15:40	<p>დისკუსია, სხდომის შეჯამება.</p>

დანართი N2. დამსწრეთა სია

სახელმწიფო უწყება	დამსწრე პირი
საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში	ნიკო თათულაშვილი
მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო	მაკა ფერაძე
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	მზია გიორგობიანი
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	გრიგოლ გიორგაძე
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	სოსო გიორგაძე
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თამილა ბარკალაია
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სააგენტო	მერი მალაფერიძე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ნინო ენუქიძე
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ალექსანდრე დარახველიძე
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	გიორგი ოსაძე
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	ლია გიგაური
სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	გოგიტა თოდრაძე
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	რაჟდენ კუპრაშვილი

სხდომა ჩატარდა ნაწილობრივ დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით და მას კომისიის წევრებთან ერთად, ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან, საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციებიდან და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებებიდან.